

თანამშრომლის მიერ გაცემული დონაციები შესაძლებელია უწყების ფინანსური დეპარტამენტის (ერთეულის) მიერ სისტემურად გადაირიცხოს ა(ა)იპ საქართველოს სოლიდარობის ფონდის ანგარიშზე ან თანამშრომელმა ინდივიდუალურად მოახდინოს თანხის გადარიცხვა პირადი საბანკო ანგარიშიდან.

ფინანსური დეპარტამენტის მიერ თანხების ერთიანად (კუმულაციურლად) გადარიცხვის შემთხვევაში, თანხმობის ფორმაში ბანკის დასახელებისა და საბანკო ანგარიშის ნომრის მითითება არ არის აუცილებელი.

ინფორმირებული თანხმობის ფორმა

დაწესებულების დასახელება: -----
სტრუქტურული ერთეული: -----
სახელი და გვარი: -----
ბანკის დასახელება: -----
ანგარიშის N.....

„საქართველოს სოლიდარობის ფონდში“ მიკრო დონაციაზე თანხმობის ფორმა

მიმღები: ა(ა)იპ „საქართველოს სოლიდარობის ფონდი“

1. ვადასტურებ, რომ ვიცნობ „საქართველოს სოლიდარობის ფონდის“ მიზნებს და თანახმა ვარ ყოველთვიურად ჩემი თანამდებობრივი სარგოდან აღნიშნულ ფონდში გადაირიცხოს თანხა ----- ლარის ოდენობით;
2. ჩემთვის გასაგებია და მისაღები, რომ ჩემი მონაწილეობა სოლიდარობის ფონდისთვის თანხების მოძიებაში არის ნებაყოფლობითი და ნებისმიერ დროს ჩემი ხელმძღვანელისთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე შემიძლია თანხის გადარიცხვის შეწყვეტა მისთვის ან ნებისმიერი სხვა პირისთვის მიზეზების განმარტების გარეშე;
3. მე მესმის, რომ ჩემი პირადი თუ საბანკო მონაცემები არ გაიცემა მე-3 პირზე ჩემი ამ საქმიანობაში მონაწილეობის განმავლობაში;
4. მე მესმის, რომ ჩემი კარიერული თუ სხვა მიზნების სასარგებლოდ არ იმოქმედებს ჩემს მიერ სოლიდარობის ფონდისთვის თანხის გადარიცხვის შემთხვევები;
5. მე თანხმობას ვაცხადებ ნებაყოფლობით, ზემოთ აღნიშნული თანხის ყოველთვიურად გადარიცხვაზე „საქართველოს სოლიდარობის ფონდის“ ანგარიშზე;

სახელი და გვარი

თარიღი

ხელმოწერა